# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 19

2020წ. "07" 02

ქ.თბილისი

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და $30^{1}$-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე / საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფინანსო სერვისები (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412 | 51 | 66 | ქართული | 30 | ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ. № 35/32 |
| 2 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | 30 | ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ. № 35/32 |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 63 | 78 | ქართული | 38 | ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ. № 35/32 |
| 4 | მეფუტკრეობა (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში 0811 | 60 | 75 | ქართული | 20 | ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. 5ა |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 563-ით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №2 სხდომის ოქმის მეათე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნანა ყუფუნია

მდივანი
მარიამ ჩაგელიშვილი